

ემიგრანტები

EMIGRANTS ЭМИГРАНТЫ



№ 5 (15) ყოველკვირიანი ჩანართი

«სხვა საქართველო ამ არის!..»

თუ ვგეგმავ ნაგლეხს, ვინ უნდა შექმნას, ან ვისთვის ჩვენო ქვეყნის მომავალი?!

რედაქტორის სვეტი

უკვე ერთი თვეა რაც ჟურნალი „ემიგრანტები“ ახალი ფორმატით გამოჩნდა მედია-სივრცეში. ჩვენმა მკითხველებმა უკვე კარგად იციან, რა მიზანს ემსახურება პროექტი „სხვა საქართველო ამ არის!..“, რომელსაც საავტორო რადიოგადაცემისა და ჟურნალ „ემიგრანტების“ საგაზეთო ვარიანტის, ანუ ჩანართის სახით, „კვირის რეზონანსში“ ვთავაზობთ.

ამ ოთხი კვირის მანძილზე აშკარა გახდა, რომ ამ გაზეთისადმი, ისევე, როგორც მანამდე გადაცემისადმი, რომელიც იანვრის თვიდან კვირაში ორჯერ გადის რადიო „ივერიის“ ეთერში, ინტერესი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც დი-

და. მართალია, ფინანსური შესაძლებლობა ჯერჯერობით, მუშაობის უფრო გაფართოების საშუალებას არ იძლევა. მაგრამ იმედი გვაქვს, ეს ინტერესი, რაც ჩანართისა და გადაცემის მომზადებას მოჰყვება, მოიცავს არა მარტო იმას, ვისაც უშუალოდ ეხებათ ემიგრაციის სიმძიმე, თუ შედეგებითი ყოფით ცხოვრებაში, არამედ იმათაც, ვისაც ამ პრობლემის მოგვარებაში დახმარების შესაძლებლობა აქვს და სურვილიც, მისი საქმიანობის ფართოდ რეკლამირება მოახდინოს.

ჩვენ კი გპირდებით, შეძლებისდაგვარად ჩვენთან ერთად გამოგზავნებთ უცხოეთში აღმოჩენილ „პატარა საქართველოებს“ - გაგაცნობთ მათ ყოფას, მოღვაწეობას, წარმატებებს და და-



მატულ სიტუაციებს. ამით, ერთი მხრივ, ემიგრაციის სურვილით

შეპყრობილ სწორად დავანახებთ, რა სირთულეების წინაშე მოუწევთ შეჯახება და დავაფიქრებთ, არიან კი მზად, ასეთ ცხოვრებას შევეუო. ამას გარდა, იმ ადამიანების დახმარებაც გვაქვს გადაწყვეტილი, ვინც უკვე დადგა კონკრეტული პრობლემების წინაშე და მათ იურიდიული კონსულტაცია, ან მხარდაჭერა სჭირდებათ, რათა ჩვენი დიპლომატიური კოორდინაციის დახმარება უფრო დროული და ქმედითუნარიანი გახდეს. ამისათვის უკვე დავაფიქრებთ „საქართველოს ემიგრანტთა კავშირს“, რომელიც ერთგვარი სიდი და მედიატორი იქნება ქართველ ემიგრანტებსა და ხელისუფლებას შორის. კავშირის საქმიანობასა და მისი მიზნების შესახებ უფრო დაწვრილებით ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

ასევე კი მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ თქვენი წინადადებები, შენიშვნები, სურვილები და ინფორმაციები უცხოეთში მყოფ თქვენს ახლობლებზე. ერთად ვიმსჯელოთ, როგორ დავძლიოთ ეს პრობლემა, რომელიც დღითიდღე იზრდება. რათა საქართველო კიდევ უფრო არ დაცვალოს ინტელექტითა და შრომისუნარიანობით გამოირჩეული თანამემამულეებით. თუ ყველანი წავალთ, მაშინ ვინ უნდა შექმნას, ან ვისთვის ჩვენი ქვეყნის მომავალი?!

ნიმუხი

ჟურნალ „ემიგრანტების“ მთავარი რედაქტორი

ამ რომ დაეღობებულს ანაზღაურებენ აქვს, საქართველოში გაგებულს არ მძნებენ!..



რეპორტაჟი „აზულიდან“

„აზული“-ასე ეწოდება ევროპაში ლტოლვილთა ბანაკებს. როგორც წინა ნომერში აღვნიშნე, ვითარება და საცხოვრებელი პირობები მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ჰოლანდიის ტერიტორიაზე ყველაზე უკეთესად აღვნიშნე განთავსებული „აზული“-როგორც აღმოჩნდა, არა მარტო ბუნებრივი პირობებით გამოირჩევა. ეს ერთადერთი ამაღლებული ადგილია. თუმცა, საქართველოს მსგავსი მაღალი მთები არაა, მაგრამ ტყით დაფარული ტერიტორიაა. სუფთა ჰაერია და შენობები მწვანეშია ჩაფლული. ბანაკის გზას რომ მიუყვებით, თავი მაინც საქართველოს რომელიმე კურორტზე გგონია. თუმცა ევროპის შესვლისთანავე თვალში გხვდება სხვადასხვა კანის ფერის მქონე ადამიანების სიმრავლე. მაღლობა ღმერთს, ამით ნამდვილად არ გავიწყდება „აზული“ ლიკანს, ან საირმეს...

ასევე ყურადღებას იპყრობს ავტოსადგომზე გაჩერებული სხვადასხვა მარკის ავტომობილები. როგორც ირკვევა, ეს ავტოები ბანაკის დროებით მკვიდრთ ეკუთვნის და არა აქ მომსახურებ. მართალია, ოთახები ვიწროა და 5 ოთახზე ერთი სამზარეულოა, მაგრამ გამართლებია, თუ თითო ოჯახს ორ ოთახს მაინც აძლევენ. მაშინ უცხო ბინადარი არც ისე ბევრია.

ასეთ საერთო სამზარეულოში ახლა სამი ოჯახისაგან შემდგარ ემიგრანტებს ვსტუმრობ. ერთ ოთახში ირანელი ახალგაზრდა კაცი ცხოვრობს, ორ-ორ ოთახში კი საქართველოს მოქალაქეებისგან შემდგარი სამსულიანი და ოთხსულიანი ოჯახები. ერთ-ერთზე, ქართულ-ოსურ ოჯახზე წინა ნომერში ვიამბუთ. ახლა მეორე ოჯახის მდგომარეობას ვაგვაცნობთ.

ოჯახის დიასახლისი მაცივრიდან ახალ ხორც იღებს და ვახშმის მომსახურებად ფაციფუცობს. მეუღლე ფულის საშოვნელადაა წასული, 13 წლის ვაჟი კი ბანაკში შემქნილ მეგობრებთან ეზოში საუბრობს. ნატოს ვახშმის სამზადისში ოსი მეზობელი რუსუდანიც ემეცხვება. ეს ის ადგილია, სადაც ქართულ-ოსურ კონფლიქტი ნამდვილად არაა. ისინი შეხებას იღებენ ტრიალებს სამზარეულოში. მით უმეტეს, ყოველ დღე სომ არ ჰყავთ საქართველოდან ჟურნალისტის სტუმრად?! თუმცა მეგობრების სტუმრობა არც ჰოლანდიიდან აკლიათ და არც საქართველოდან. ამიტომ თურმე ბანაკის ხელმძღვანელობას უნდა მოახსენონ, რომ მათთან სტუმრობა (მაგრამ იმ დამით ეს ფორმალურაა საჭირო არ გახდეს. არაფერს შევუმოწყებოვართ). მე მაინც სულ კარგისკენ ვიყურები. რუსუდანი თავის გაკეთებულ ნამცხვარს დებს მაგიდაზე. ნატო ხარჩოს და ასე ნელ-ნელა იშლება ქართული სუფრა, რომელსაც არც ბანანი აკლია და არც ქართული ღვინო. ტყემლის საწებელიც დებს და მწვადის სუნიც ტრიალებს.

ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოში კი არა, შორეულ ჰოლანდიაში ვართ... საქართველოც ვადევრძელეთ და იქ დარჩენილი ოჯახის წევრებიც. მერე კი იქვე მშვენიერ საფარტელში გადავჯექით და მეუღლეების მოსვლამდე დრო ვისვლეთ. ნატოც ემოციურად ალაპარაკდა.

პირველ რიგში კი ბანაკის თვისებებზე ვსვამ კითხვას.

როგორ ხვდება ადამიანი „აზულში“ და რა სფეროები აქვს მას? რომელი უფრო რთულია, არალეგალურად ცხოვრება თუ „აზულიანობა“?

საერთოდ ემიგრაციაში ცხოვრება ძალიან რთულია. გინდა ლეგალურად იყავი, გინდა-არალეგალურად. თუმცა განსხვავება სხვადასხვაგვარია. არალეგალურად რთულია იმ შემთხვევაში, თუ უსაბუთოდ ხარ. მაგრამ ბანაკში რომ სტატუსი მიიღო, სანამ ბინით დაგაკმაყოფილებენ, მუშაობის უფლება არ გექვს. ამიტომ ყველა ცდილობს „შავად“ მაინც იმუშაოს. ესეც საშიშია. სანამ ყველაფერს შეეგუები, წლები გადის და მაინც გიჭირს.

მაინც რა თვალსაზრისით უფრო ჭირს? როგორც ვხედავ, შეძლებული ოჯახის დონეზე ცხოვრობთ: საჭმელი და ჩასაცემელი არ გაკლიათ. საერთო სამზარეულო ძველ თბილისურ სახლებში ალბათ ჯერ ისევე შემორჩენილია. არც წყლის პრობლემა გაქვთ და არც გათბობის. შუქსაც ალბათ იმდენს მოიხმართ, რამდენიც გჭირდებათ და არა იმდენს, რამდენის გადასდა შეძლებთ. ამიტომ ალბათ უფრო ფსიქოლოგიური პრობლემები გაქვთ და ნოსტალგია?

სანამ ყოფით პრობლემებს მოგიგვარებენ და ამ განსხვავებას იგრძნობთ, რაც სამშობლოშია, იმდენი ეტაპები უნდა გაიარო, ეს პირობები

უკვე აღარ გაინტერესებს. ძალიან რთულია ამ ეტაპების გავლა. სულში ხარ, არ იცი, რა წუთში დაგიძახებენ პროცედურაზე (იგულისხმება თავშესაფრის მისაღებად გასაუღლები პროცედურები, ინტერვიუები, ექიმთან კონსულტაცია და სხვ. ნ.ც.), ან **ღამით პოლიცია არ დაგაძვინს თამაშზე და გორბილვად აღგებულს არ დაგაბრუნდნენ ბანაკში, არ ჩაბაბღონსადავტორტოში და არ დაგაბრუნდნენ...** ფსიქოლოგიურ სტრესში ხარ და მუდმივად განსაკუთრებით ძნელია ეს ქართველისთვის. ალბათ სხვებისთვისაც, ვინც მიჩვეული არ არის მონობას, შედეგად დეპრესიას. გინდა თუ არა, ყოველ დღე სოციალი გაკონტროლებს სად დადის, რას აკეთებ, ვის ხედავ. კვირაში ერთი დღეა, როცა უნდა გამოცხადდე აქურ პოლიციაში, რომ აქ ხარ და არსად არ წასულხარ. საქართველოსგან განსხვავებით, ექიმთან წინასწარ ეწერები, ანუ ავტორიზაციას უნდა გქონდეს. მართალია, აქ ფულს არ გთხოვენ ამაში, ყველა კარგად გიღებს და გემსახურებიან. მაგრამ უცებ რომ ავად გახდეს, რიგს უნდა დაელოდო და შეიძლება ერთი თვე არ მოგიწიოს. კბილიც რომ ავტოვიდეს, „ავტორიზაციის“ გარეშე ექიმთან ვერ მიხვალ. თუ ძალიან გადაუღებელი მდგომარეობა არა გექვს, ამ ერთი თვის განმავლობაში წამალი უნდა სვა.

გერმანიაშიც ასეა, ტერმინი თუ არ დაგინიშნა ექიმმა, ისე შენ რომ მოგინდებო, უცებ შეიძლება ვერ მივიღოს. ეს არის „ავტორიზაცია“ ხომ? მაგრამ ლეგალური რომ გახდეს, ბევრი ლინი გიწევს?

გალეგალური იმდენად რთულია, რომ, გულახდილად გეტყვი, სწორად ტყუილის თქმაც გიწევს. ის პრობლემები, რაც ჩვენ სინამდვილეში გვაქვს საქართველოში,

აქ დიდ უბედურებად შეიძლება არ აღიქვან. ამიტომ ბევრის მოყოლილი ისტორია ჰგავს ერთმანეთს. იმ ტყუილს რომ ამბობ, სინამდვილეში შეიძლება მხოლოდ მართალს აზრად და სულადან მოდის ეს ტკივილი და რომ დაგიჯერონ, ისეთ ემოციებში ვარდები, რომ შენი ნათქვამი ტყუილიც კი შეიძლება დაიჯერო. მაგრამ როგორ დაგიჯერებენ ესენი თუნდაც სიმართლეს, ამაშია პრობლემა. ინტერვიუს ზოგჯერ რამდენჯერმე გართმევენ. გეკითხებიან ყველა წერილმანს. თუ შენს სახელსა და გვარს საქართველოში ვერ დაადგენენ, ანუ თუ არა ხარ ამ მონაცემებით დარეგისტრირებული სადმე, პროცესი უფრო ჭიანჭურდება. გეკითხებიან იმ ქალაქის ალწერილობას, ქუჩების სახელებს, მეტროს და მალაზიებსაც კი, საინფორმაციო ჩამოყვები. ამდენად, რომ თქვა, ბათუმში ვცხოვრობდი, ან თბილისელი ვარო, ზუსტად უნდა მიანიშნო ყველაფერი, რაც აინტერესებთ. მე ეს პრობლემა არ მაქვს. ყველა კითხვას სწორად გავეცე პასუხი, მაგრამ ჩემი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი არ მაქვს. ამიტომ სტატუსის მიღება მიჭიანურდება. ამასობაში დრო გადის. უკვე ოთხი წელი ხდება, აქ ვარ და არ ვიცი, როდის გამადეპორტებენ. მით უმეტეს, ჩემს ქმარს მისცეს სტატუსი და ის უკვე ლეგალურად ცხოვრობს ამ ბანაკში. მაგრამ ბინას მანამ არ გვაძლევენ, სანამ ჩემს იდენტიფიკაციას არ მოახდენენ.

როცა აღგენენ, ვინა ხარ, მერე ცოტას ამოისუნთქავ. მაგრამ არც მაშინ იცი, დაგაკმაყოფილებენ თუ არა ბინით და სამუდამო თავშესაფრით. ამიტომ შიში მაინც რჩება

ამ რომ დაგაგებებს ანაზღაურებს ამბს, საქართველოში გაგებებს არ მძებნა!..

(დასასრული)

იმისა, რომ არ მოგვიდონ სელი და ბავშვიანად არ გაგადეპორტონ. უსაბუთოების პრობლემას ისიც ემატება, რომ შენი ქვეყნიდან შეტყობინებას ელოდებიან და გეუბნებიან, რომ უნდა დაგადგინოთ, სჭირდებათ თუ არა საქართველოს.

—ამის გარკვევა როგორ ხდება? როგორ ვიცი, ბევრი მაღავეს თავის ვინაობას და სხვა გვართ ბარდება. იმიტომ, რომ საქართველოში ცხოვრება უჭირს, რა მიზეზითაა უნდა იყოს, და არ უნდა გაამხილოს ვინაობა. რას ნიშნავს მოთხოვნა, სჭირდებათ თუ არა საქართველოს? რა შემთხვევაში უნდა დაწეროს საქართველოს საელჩომ ასეთი დაცვა, ან ყოფილა შემთხვევა, რომ საქართველოდან მოსულიყოს პასუხი, რომ ეს ადამიანი დაიტოვეთ, არ გვჭირდება?

—ცოტა ძნელი სათქმელია, ასლა ვინ სჭირდება საქართველოს და ვინ არა. ხომ კარგად ვიცით, რა სიტუაციაა?! სახლი უმეტესად იმიტომ მორბის, რომ პროფესიონალები სამსახურს ვერ შოულობენ და სიღარიბეში ცხოვრება არ შეუძლიათ. ან იმიტომ, რომ მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნიან, ბიზნესს ართმევენ, ან ყველაზე უკეთეს შემთხვევაში "სამსახურში არ აჩერებენ."

მაგრამ მაინც 90 პროცენტზე მეტი ადამიანი ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოდის ევროპაში. არა მგონია, ასეთი საბუთი ვინმეს ჰქონდეს, რომ იგი არ სჭირდება საქართველოს. თუმცა ყოფილა შემთხვევა, რომ ვერ უპოვიათ ადამიანის რევიტრაცია. თუ იგი ამოიწერა ადრე და არსად არ ირიცხება. მეც ეს პრობლემა მაქვს. **საქართველო არავისზე არ დაწერს, არ მივიღებთო. მაგრამ თუ სჭირდება ეს ხალხი, უნდა თუ უფროსი ღირს და დაასაქმოს კიდევ. თორემ მერე უკან დაბრუნება ძნელია და ამდენი ემიგრანტის მიღებაც, ერთი ქართველი ქალბატონი ვნახე, იელოვრობის გამო ითხოვა თავშესაფარი.**

—ამ დროს, რომ ვიცით, როგორ კომპორტულად გრძობენ ახლა თავს იელოვროები. გურამ შარაძე აღარაა ცოცხალი და ისიც ვერ გამოდიოდა ბოლო დროს.

—ამიტომაც შეწყინა, რომ სარწმუნოებას ყიდის კარგი ცხოვრების ფასად. ძალიან ბევრ იელოვროს ვიცნობ საქართველოში, მაგრამ ისინი ჩემს ოჯახზე უკეთ ცხოვრობენ.

—გერმანიაში გაგიგე სასაცილო ისტორია, თუმცა, ამავე დროს სატირალიც აღება. თურმე ორი მამაკაცი ბანაკში ჩაბარდა, როგორც აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. რაც კიდევ უფრო ტრაგიკომიკულად მიჩვენება, შოთა რუსთაველიც გამოქცეულა საქართველოდან... აქაც რომ არ ხდება ასეთი რამ?

—კი, როგორ არა. ვაჟა ფშაველა ან ითხოვა თავშესაფარი. ოღონდ ჩვენი დიდებული მწერლები აქ არ შემხვედრია. ილია და აკაკი რომ იყოს საქართველოში, გასაკვირი არ არის, როცა ეს გვარები ნამდვილია, მაგრამ ერთად რომ ჩაბარდნენ, ეგ იყო საეჭვო. შოთა რუსთაველზე ხომ საერთოდ კურიოზული შემთხვევაა. მაგრამ როცა საელჩო ერთვება ამ საქმის გარკვევაში, ჯერ სიტყვი იწყება, მერე კი საყვედურები, ჩვენს სახელოვან მწერლებს არცხვენთო. ძალიან იოლადაც ადგენენ, სხვათა შორის, ვინ ვინ არის და უშვებენ უკან. ახლა იმასაც აღარ კითხულობენ, ეს ადამიანი ნამდვილად არის თუ არა ამ გვარის, შეიძლება პირდაპირ გაადეპორტონ. ამიტომ ყველა ცდილობს, დამალოს ნამდვილი ვინაობა.

—მაგრამ ამით ხომ უფრო ირთულებს საქმეს?

—კი, ასეა. მაგრამ თუ მაინც უნდა გაადეპორტონ, სხვა გვართ ჯობია. ამას გარდა, საელჩოში რომ მიდისარ და ეუბნები, მომეცი ცნობა, რომ ქართველი ვარო, ვერ გაძალევენ, თუ საქართველოში ვერ დაადგინეს შენი ვინაობა. მეუბნებიან, ქართულად გამართულად ლაპარაკობ და ადასტურებ, რომ თბილისელი ხარ, მაგრამ იქნებ შენ სომეხი ხარ, ან ებრაელი. ძალიან ბევრი ადამიანი გაადეპორტეს ასე. ისინი კი დიდი თანხის და ვალის ფასად ჩამოვიდნენ აქ იმისთვის, რომ ეს ვალებიც გადაეხადათ და ოჯახიც ერჩინათ.

—ისე, ხომ ფაქტია, რომ თქვენ ეკონომიკურ მდგომარეობას ნამდვილად არ უჩივით. საქართველოში ბევრი ვერ გაუმასპინძლებდა სტუმარს ასე, როგორც მე მიმასპინძლებდა.

—მაგისთვის ბევრს ვიჭირებთ, რა თქმა უნდა. მაგრამ საქართველოშიც შრომობს ხალხი და ყოველ დღე სორცი და ყველი არა აქვს და არც ბანანი და ანანასი. აქ შეიძლება ბოლო მოდაზე არ გაცვივა და უმაღლესი კლასის მანქანა არ გეყავს, მაგრამ ჩაცმა და კვება პრობლემა არაა. შეგიძლია, იარო კონომი, კონცერტზე, დაისვენო კარგ კურორტზე.

—მაგრამ ეს მართლაც სოციალისტურად არ ხდება ალბათ...

—რა თქმა უნდა, არა. სოციალი იმდენს გაძლევს, რომ იკვებო და იმკურნალო. გადასახადები არ გავსებებს და ბევრი რამ. მაგრამ ფუფუნებაში ვინ გაცხოვრებს?! ამას გარდა, სახლში ხომ უნდა გაავაზნო რამე. იქ ჰგონიათ, სახლი აქ შენდებ და მუდმივად ხდება რეკვა, პრობლემების მოყოლა და დახმარების თხოვნა. შენ რომ კარგს ჭამ და სვამ, იცმევ და მანქანით დადიხარ, იმათ ხომ არ აშიშობლებ? ამიტომ „შავად“ ვმუშაობთ, ანუ არაოფიციალურად. დღეში რამდენიმე ოჯახს ვალაგებთ. ზოგი ბავშვს უცლის, ზოგი მოხუცს, ზოგი ფეხმძიმეს ეხმარება სახლის საქმეებში და ამით ვმოულობთ ფულს.

—აკრძალული არაა მუშაობა?

—კი, როგორ არა. ამიტომაც ვართ სულ დაძაბულები. როცა თავშესაფარს გაძლევენ მაშინაც მხოლოდ ფესტორანში ჭურჭლის მრეცხავად და დამლაგებლად შეგიძლია მუშაობა, ან ოჯახში და არა ოფიციალურ დაწესებულებაში.

—ბელგიაში მითხრეს, მარკეტში ადამიანმა საკვები რომ აიღოს და ფული არ გადაიხადოს, არაფერ არ მოსთხოვს პასუხსო. აქაც ასეა?

—კი. მშიერ ადამიანს არაფერ დაიჭერს. მაგრამ ბელგიისაგან განსხვავებით, აქ იმას არაფერ იკადრებს, რომ ფული არ გადაიხადოს, ისე ჭამოს. პოლიციელებიც, ვინც არ მუშაობს, იმდენ დახმარებას იღებს, რომ კვების გარდა, კომუნალური გადასახადებიც გადაიხადოს. იმის პრობლემაც არავის აქვს, რომ ხვალ ავად გახდეს და ვერ იმუშაოს, ფულს ვერ მიიღებს და გადასახადებს ვერ გადაიხდის. აქ რომ ვინმე მშიერი მოკვდეს, ასეთი რამ წარმოუდგენელია.

—ზანაის ჭიშკართან ეს მანქანები ლტოლვილებისაა, თუ აქაური თანამშრომლების?

—არა. ძირითადად ლტოლვილებისაა.

—მერე არ გეკითხებიან, საიდან?

—არა. მთავარია, აქ არაფერი და აშავაო. კრიმინალში თუ შეგამჩნიეს, დამთავრებულია შენი საქმე. მაგრამ თუ პატიოსნად იქცევი და დროზე ცხადდები ბანაკში, ამდენს არ ქეპავენ.

—მანქანის ყიდვასაც „შავად“ მუშაობით ახერხებ?


—რა თქმა უნდა. არ არის ძვირი. 300 ევროდან 1500-მდე ღირს სხვადასხვა ზომის მანქანა. ჩვენ მაინც გამოქცევაზე ვფიქრობთ. ასლა ამას რომ ვიტყვი, საქართველოში იფიქ-

რებენ, თუ ასეთი კარგი ქვეყანაა ეს ჰოლანდია, აქ რა გინდაო. მაგრამ მართო ფული ხომ არ არის ყველაფერი. **თუ ბევრს მუშობ, დღეში ყველაზე ცოტას 50 ევროს მაინც გამოიმუშავებ. თუ თეთრად მუშაობ და ზარბაზი არ ხარ, ორჯერ მეტიც გაქვს. ასეთი შემოსავლით რამდენიმე დღეში შეიძლება პატარა მანქანის ყიდვა.** ბევრი ნათესავზე აფორმებს და თუ საქართველოში მიდის, აქ ტოვებს, ან ისევ აქ ყიდის, რადგან ვერ გაიტანს ქვეყნიდან. მაგრამ ყველაფერი ეს იმდენად დაძაბული ნერვების ფასად გვეძლევა, რომ რამდენჯერ მიტირია, შავი პური გვეჭამა და ჩვენ ქვეყანაში დავმგდარიყავით-მეთქი. აი, ჩემს მეზობლად რომ ოჯახია, იმის უფროსმა შვილმა, 7 წლის ბავშვმა თქვა: „რა კარგია ჩვენი ქვეყანა, იქ არც პოლიტიკა, არც ნეგატივიზმს ვხვდებით, არც სამშარეულო აქვს, ყველა ბედნიერად ცხოვრობს და პოლიციის არ ეშინიათ“.

—არაერთგზის მითქვამს, კარგია იქ, სადაც ჩვენ არ ვართ. აქედან სხვანაირად ჩანს იქაურება და პირიქით. ამიტომაცაა, რომ დღემდე არ წყდება ნაკადი საქართველოდან. მაგრამ როცა ადამიანი გამიზნულად ჩასაბარებლად მოდის და სტატუსს ითხოვს, ის, რა თქმა უნდა, სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც ტოვებს საქართველოს. თუმცა მართლაც უმეტესობა, შეიძლება 90 პროცენტზე მეტი, როგორც აღნიშნე, ეკონომიკური მდგომარეობის გამო იძულებული ხდება, წავიდეს საზღვარგარეთ და სულ უკან დაბრუნებაზე ფიქრობს. თქვენ 4 წელია, აქ ხართ და პრობლემები ჯერაც არ მოგიგვარებიათ. ისევ გაუზრკვეველ მდგომარეობაში ხართ. ასეთ ვითარებაში ვერ ხედვით საქართველოში დაბრუნების პერსპექტივას?

—ზუსტი პასუხის გაცემა მიჭირს. მაგრამ ფაქტია, ძალიან მენატრება ჩემი ქვეყანა, ოჯახი, ჩემი უმცროსი შვილი, რომელიც ჯერაც ვერ ჩამოვიყვანე. ერთი უკვე წამოიზარდა აქ და ენაც კარგად იცის.

ოპიანის გადაღმა მთელი გულით გაბეზებული სიბები



მამბრანტის წერილები

ნინო, გამარჯობათ! ეს წერილი ინგლისურად უფრო კარგად უღერს. „Accept the to which fate binds you, and love the people with whom life brings you together, but do so with all your heart. Markus Aurelius.“ მაგრამ ვცდები ქართულად გამოთქვა: ვინც მე მიცნობს, იცის, რომ თითოეული სიტყვა მართალია და გულიდან მოდის. ძალიან მიყვარს მარკუს აურელიუსის ეს ცნობილი სიტყვები: „მიიღე ის, რასთანაც შედი და გაკავშირებს და გიყვარდეს ადამიანები, ვისაც ცხოვრება შეგასხვავებს, ოღონდ მთელი გულით“.

ერთი სული მაქვს, როდის ჩავალ და ჩავხუტები მათ. ყველაზე ცუდი დღეებიც კი ტუბილად მაგონდება ასლა. მაგრამ რომ გამახსენდება, რევოლუციის შემდეგ როგორ შეიცვალა ჩვენი ცხოვრება უარსობისკენ, რამდენი პრობლემა გვექონდა (ყველაფერს არ დავაკონკრეტებ) და რომ წავიდე, რას უნდა შეველო, ვფიქრობ, რომ ასლო მამავალში ჩვენს დაბრუნებას აზრი არა აქვს. უამრავ ახლობელსაც ვცხადებ, რომ ვამბობ, რომ მანქანებს და სიმდიდრეს ვაგზავნი. მაგრამ ფულს მაინც ვუგზავნი, რომ მშიერები არ დაიხცონ. თითოეული ქართველი იმდენს მაინც ახერხებს, რომ ოჯახი გამოკვებოს. ჩემი ახლობლების ოჯახები ძალიან გაჭირვებულ დღეში არიან. ერთი მეგობრის მშობლები მთელი შამთარი შუქმარტალში ისხდნენ. ეს ბიჭი იმდენს ვერ ახერხებდა, რომ ელექტროენერჯის ფულიც ჰქონოდათ. ელემენტარული პურის ფული მაინც ხომ უნდა გაეგზავნა აქედან. ძნელია, ჩახვიდე და ამ გაჭირვებას შენც მიემატო. ამიტომაც იჭირვებენ მათი მშობლები, შვილები და-ძმები, რომ ისინი ამ მდგომარეობიდან გამოიყვანონ. ჩვენც ასე ვინახავთ ჩვენებს. 45 წლის ხალხი უკვე ჩამოწერილად ითვლება და სამსახურში არ აჩერებენ, სხვაგან კი არ იღებენ. აქ კი ასაკოვანი ქართველი ქალებიც ოჯახში დაძაბვებულად მუშაობენ. ზოგი პედაგოგია, ზოგი უქიმი. 75 წლის ხალხი აქ სტუდენტებიც არიან. არც სამსახურში და არც სასწავლებელში ასაკის შეზღუდვა არ არსებობს. თუ განათობა და პროფესია გაქვს, დაფასებულად ხარ. ემიგრანტები კი, რომლებიც თავისი პროფესიით ვერ მუშაობენ, ცდილობენ, ენა კარგად ისწავლონ, კომპიუტერს დაეუფლონ და ადგილობრივებს გაუტოლდნენ. მართალია, ამას წლები სჭირდება, მაგრამ უმუშევარი მაინც არ არის ადამიანი და თუ არის, მას სახელმწიფო ინახავს. მაგრამ ისინი, ვინც ასაკოვანი ჩამოდიან აქ და კომპიუტერს პირველად სედავენ, სწავლას ვერ ახერხებენ, რა თქმა უნდა, „შავად“ მუშაობენ და მაინც აქვთ კარგი შემოსავალი. აქ რომ დამლა-

გებელს ანაზღაურება აქვს, გაგვიცინება, მაგრამ საქართველოში გამგებელს არ ექნება. ნავის მანქანაზეც კი დიდი კონკურენციაა.

—და როგორ ვიცი, ტუბილად მუშაობაზე...

—იმიტომ, რომ დიდი შემოსავალი აქვთ. თვითონ ჰოლანდიელებიც კი სოციალურ ერთმანეთს ამ ადგილებისთვის. ქართველმა შეიძლება არ გაამხილოს, რომ ამ საქმიანობას ეწევა, მაგრამ მოწყობაზე დიდად მონდობებულია. საქართველოში ჯერ არ ჩანს უკეთესობა ისე, რომ ხალხი დასაქმდეს. მართო ფასადების შეღებვა და კიდევ ბევრი რამ, რაც თითქოს წინსვლის მაჩვენებელია, საქმარისი რომ არ არის, ხომ ფაქტია. ამიტომაც ვერ ვერ გადაგვიწყვეტია უკან დაბრუნება. მაგრამ აქ რას გვიპირებენ, ჯერ არც ეს ვიცით. ღმერთმა ნუ ქნას, რომ სტატუსი არ მოგვცენ და მოულოდნელად დაგვაბრუნონ საქართველოში.

ნიკო მსოიძე

თბილისი-ამსტერდამი-თბილისი

P.S. ძნელია, გულგრილად ვინა მინო ამ საუბარს. ალბათ უნდა მკითხველი წაიკითხავდა უემოციოდ ამ ინტერვიუს. ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ჰოლანდიის შუაგულში, ლტოლვილთა ბანაკში ვესტუმრე, სულ სხვანაირად გამოიყურებოდა საქართველოში. ახლა თითქოს, ის ემსი და მომსიბედილობა დაეკარგა და კარგად ჩაცმულ, დაღლილ დედაკაცს დამსვავსებოდა. ვერ დავამალე და ვუთხარი კიდევ ის შესახებ. მან კი მითხრა: „ამდენ ჯაფასა და დარღში აღარც მაკიათის განწყობა მაქვს და აღარც თმის მოწყობის რიგების. სულ იმაზე ვფიქრობ, როდის მედირება ჩემი შვილის ნახვა და ამ წლების დაკარგული სითბოს ანაზღაურება“.

თვალეობით. მისი სიყვარული მაძლევს ძალას და მე ვგრძობ, რომ ღმერთისგან დალოცვილი ვიქნები. მიყვარს ახალი დღის დაწყება, რადგან ვიცი, კვილი ელოდება ჩემს გამამხნეველ დიდილ და მისალმებას: „დილა მშვიდობის, ძვირფასო!“ მოხუცები პატარა ბავშვებს ჰგვანან, უსუსურები და ცოტა შეშინებულები. ასლა მეორე კეთილშობილი პროფესია მაქვს: მასწავლებელი და მომვლელი. ორივე ხომ ადამიანის ფაქიზ სულთან არის დაკავშირებული. ჩვენ ვეხებით მათ გულს და მათ გრძობებ, მე თუ ჩემი მოსწავლეების მომავალს ვაყალიბებდი წარსულში, ასლა კვიდის ვუადვილებ ცხოვრებას. დასვენების დღეების შემდეგ მოვიჩქარი სახლში, რადგან ვიცი, ფი მულოდება სიტყვებით „მომენატრე“, „მეც მომენატრე“, ვპასუხობ და ვგრძობ. ჩემი სიყვით მას კარგ განწყობას უქმნის. მოხუცთა მომვლეობა, იყავით კეთილები, ნახები, გულწრფელები, რომ გააბედნიეროთ ხანდაზმულები ჩვენ ხომ მათში ჩვენს მოხუც მშობლებს ცხედავთ.. და მე გეტყვით თქვენ იგივეს: „მიიღე ის, რასთანაც შედი და გაკავშირებს და გიყვარდეს ადამიანები, ვისთანაც ცხოვრება შეგასხვავებს, ოღონდ მთელი გულით“.

პეტერბურგელი ბასკოლობ-ბაგბასოლობი, პროფესორი იური ზიცარი 80 წლისაა



იური ზიცარი

ქართულ-ბასკური ურთიერთობების შესახებ ბევრი სხვადასხვაგვარი აზრც გამოთქმულა. ამდენად, ამ თემას უფრო ვრცლად ცალკე შევეხებით. ამჯერად კი ერთ ინტერვიუს გთავაზობთ.

ცნობილი რუსი მეცნიერი, პროფ. იური ზიცარი თითქმის 20 წელი (1972-1991 წწ.) თავის ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, ასპირანტებსა და მაძიებლებს. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ბასკური ცენტრებში. ცხოვრების მეორე ნახევარი საქართველოში ბასკურ-კავკასიური ურთიერთობების კვლევის ცენტრის შექმნას მოახმარა. სწორედ მისმა პირველმა მოწვევამ - ამერიკის საინფორმაციო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრმა იური ზიცარმა, რომელიც დღეს ოჯახთან ერთად ცხოვრობს სანკტ-პეტერბურგში და ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობს. ეს ინტერვიუ ჯერ კიდევ მისი საქართველოში ყოფნის დროსაა ჩაწერილი. 14 აპრილს ბატონ იური ზიცარს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. მაღლივ, მოწვევით და სურვილი გაუჩნდა, რეტროსპექტივით შეხიანებოდა ერთობ აბრაოდინალურ პიროვნებას და მაღლობა ეთქვა იური ზიცარისათვის კილომეტრით დაშორებული ქვეყნიდან, საქართველოდან, რომელსაც დღემდე ვარდისფერ სიზრვებში ხედავს ასევე მაღლივი პროფესორი. მისი ხელშეწყობით თსუს ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველურ ენათა განყოფილებაში დაიწყო ბასკური ენის კურსის სწავლება, მას მერე გავიდა სამი ათეული წელიწადი. რამდენად, ბასკური ენის პირველმა მასწავლებელმა გრეტა ჩანტლაქემ ეს ინტერვიუ თბილისში, ფიქრის გორაზე, თავისსავე მასწავლებლს 60 წლის იუბილზე ჩამოართვა.

ბატონო იური, მრავალი წლის თანამშრომლობა შეგიძლიათ ოსტატთან ნებას მაძლევს, ვთქვა, რომ თქვენ შორსა ხართ

ყოველგვარი რეკლამების, პოპულარობისა და თავის გამოჩენისაგან, ძალზე ძნელი გასდა ჩემთვის, დამეთანხმებინეთ ინტერვიუს, ისე, როგორც ბევრ ჩვენს კოლეგას. საქართველოში ბასკურ-კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელს, აკადემიკოს შოთა ძიძიგურს კი მიაჩნია, რომ დროა, ფართო საზოგადოებრივობამ უფრო დაწვრილებით გაიგოს თქვენი უანგარო მუშაობის შესახებ საქართველოში. როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბასკურ-კავკასიური სტუდიები ნულიდან დაიწყეთ. ამ სფეროში ჩვენში არ იყო არავითარი სახელმძღვანელო, ლექსიკონები თუ ტექსტები. სოამ არ გაგიჭირდათ თქვენი მოღვაწეობის დაწყება საქართველოში?

- ვიდრე პასუხს გავცემდე თქვენს შეკითხვას, მინდა, დიდი მადლიერებით მოვიხსენიო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აწ განსვენებული ილია ვეკუა, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი, პროფ. დავით ჩხიკვიშვილი და აკად. შოთა ძიძიგური, რომელთა დახმარებით შევძელი, განმეხორციელებინა ჩემი დიდი ხნის ოცნება-შექმნილიყო კავკასიაში, რომელიმე სამეცნიერო სკოლის კვლევით ცენტრი. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, რა თქმა უნდა, ძალიან გამიჭირდა დასაწყისში, რადგანაც სალაპარაკო ქართული ენა არ ვიცოდი. დღეს დიდი ხნის ვისწავლო უკეთესად ქართული ენა და დრამა ჩავწვდე ჩემი ქართველი კოლეგების შრომებს ორიგინალში. ბასკოლოგიურ ლიტერატურასაც შეძლებისდაგვარად მოეუყარე თავი და ბალანსიდან ბალანსზე რუსეთის სამეცნიერო ცენტრებიდან გადმოვიცე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. დღეს სტუდენტობასა და ასალგაზრდა მეცნიერებს საშუალება აქვთ, ახალი ქართული ენის კათედრაზე გაეცნონ უახლეს ბასკოლოგიურ ლიტერატურას, გამოიყენონ ლექსიკონები და ტექსტები. ქალბატონო გრეტა, ჩემს ასპირანტებსა და მაძიებლებს ხშირად ვუთითებ თქვენს პირად ბიბლიოთეკაზე. თქვენ ხომ დიდძალი ლიტერატურა დაგროვეთ ამ ოცი წლის განმავლობაში. ასევე დიდად მადლიერი ვარ ცნობილი მეცნიერის იზა ჩანტლაქის, რომლისგანაც სვანური გრამატიკის საინტერესო კონსულტაციებს ვიღებდი.

რას იტყვით თქვენი მოწვევების შესახებ?

- მე როგორც ოსტატი, მაღლივი ვარ ჩემი შეგირდებისა, რომლებიც ჩემი ხელმძღვანელობითა და დახმარებით გამოვიდნენ სამეცნიერო ასპირანტზე. ისინი ხშირად მონაწილეობენ სამეცნიერო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე. ყოველი მათგანი 3-4 შრომა დაბეჭდილია ესპანეთის, საფრანგეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების ბასკოლოგიურ ჟურნალებზე. ესპანეთში ჟურნალებმა „ფორტეს ლინგვუ ვასკონუმ“ და „ეუსკერამ“ არაერთგზის დაბეჭდეს რეცენზიები და გამოხმარებანი მათ ნაშრომებზე. თქვენ თავადაც დაწვრილებით ამაში ესპანეთში ყოფნისას, თუ როგორი პოპულარობით სარგებლობენ ჩემი მოწვევები საზოგადოებაში: მედეა დლონტი, გიორგი შალამბერიძე, რევაზ ჭანტურია, თამარ მასაროზიძე, ქეთევან მეგრელი, ჯემალ ჯინჯიხაძე. ესპანეთში კარ-

გად არიან ცნობილი აგრეთვე ასალგაზრდა მეცნიერები, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქანი ნათელა სტურუა და სალომე გაბუნია, ამ უკანასკნელმა ლენინგრადში წარმატებით დაცვა საკანდიდატო დისერტაცია ეთნოგრაფიაში. მართალია, მე ნ. სტურუასა და ს. გაბუნიას მეცნიერ-ხელმძღვანელი არ ვყოფილვარ, მაგრამ მათაც ჩემთან გაიარეს ბასკურისა და ესპანური ენების კურსი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩემი ერთ-ერთი უნივერსიტეტის მოწვევის თამარ მასაროზიძის წარმატებების შესახებ, რომელმაც ჩემი ცხოვრების ექვსი ათეული წლის თავზე მეექვსე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მედეა დლონტი მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ასლან განოსცა ძალზე საინტერესო მონოგრაფია ბასკური კალენდრის შესახებ. გიორგი შალამბერიძე ლექციებს კითხულობს უნივერსიტეტში და ბავშვთა ანსამბლი „ციცკარი“ მისი თაოსნობით მიიწვიეს ბასკეთში საგასტროლოდ. როგორც ესპანური პრესიდან შევიტყვეთ, მათ ძალიან დიდი წარმატება ჰქონიათ. გ. შალამბერიძემ გამოსცა მონოგრაფია ბასკური კომპოზიციების შესახებ. რევაზ ჭანტურია წლების განმავლობაში მუშაობდა ქართული ენის კათედრაზე უფროს მასწავლებლად. დღეს იგი თავის შედგენილ თანამშრომლებთან ერთად ცხოვრობს და მუშაობს შვეიცარიაში. ქეთევან მეგრელი კი დღეს ბასკეთში ცხოვრობს და მუშაობს. აი, ასეთია ჩემი „კონფიდეანტი“.

ეს წარმატებები, მაგრამ ხელი რაში გეშლება?

- მინდა მოგახსენოთ, რომ დღეს მსოფლიოში ძალზე ბევრი ბასკოლოგია, რადგანაც გააქტიურდა ინტერესი ამ უძველესი და ეგზოტიკური ენისა და ეთნოსის მიმართ. დიდი ყურადღება ეთმობა კომპარატივის სტრუქტურულ კვლევა-ძიებას. ამდენად არ იქნებოდა ურიტო, თუ თბილისის უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნებოდა „ბასკურ-კავკასიური სტუდიების ლაბორატორია“. ისევე, როგორც არსებობს „ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების“ შემსწავლელი ტოპონიმისა თუ სხვა სახის ლაბორატორიები, მით უფრო, რომ არსებობს 1978 წლის საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება „ბასკური ენის ისტორიისა და კულტურის საკითხების შესწავლის განხორციელების შესახებ“. ასეთი სახის ლაბორატორიები არსებობს პარიზში, ბორდოსა და ბილბაოში. თბილისი, ჩემი აზრით, არაფრით არ ჩამორჩება ამ ქალაქებს(?). საერთოდ მე მაღლობელი ვარ თბილისის უნივერსიტეტის რექტორატის, ისინი ხშირად მესმარებენ ჩემთვის საჭირობო საკითხების გადაწყვეტაში.

რას გვეტყვით თქვენს წინამორბედებზე?

- პირველ რიგში მინდა მოვიგონო ჩემი მასწავლებელი, აკადემიკოსი ვ. ფ. შიშმარიოვი, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის, ნიკო მარის თანამედროვე და მეგობარი. სწორედ ამ გარემოცვაში გაიარა ასალგაზრდა ასპირანტმა, შოთა ძიძიგურმა, თავისი საასპირანტო კურსი ლენინგრადში. სწორედ აქ დაწერა მან სტატია „საფრანგეთის ბასკური დიალექტების შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოში 1937 წელს. ასალ-



იური ზიცარი და შოთა ძიძიგური ბასკეთში

გაზრდობის დროინდელ გატაცებას კვლავ დაუბრუნდა უკვე აკადემიკოსი შოთა ძიძიგური და თქვენ, ქალბატონო გრეტა, გახდით მისი პირველი ასპირანტი ბასკოლოგიაში. მალე მეც მომიწვიეს თბილისის სახ. უნივერსიტეტში, ასე დაიწყო ჩემი ერთობლივი საქმიანობა. ბ-მა შოთამ ჩემი რედაქტორობით გამოაქვეყნა რამდენიმე მონოგრაფია ბასკებისა და ქართველების ურთიერთმიმართების შესახებ, რომლებიც თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. ბასკოლოგიურ საკითხებზე მუშაობდნენ პროფესორები ბისოვსკაია, ჟირკოვი, ბარადინა და სხვები.

ჯერ კიდევ 1955 წელს ერთ-ერთ უცხოურ ჟურნალში თქვენ წერდით, რომ ბასკურ-კავკასიური ენების ნათესაობაზე შეიძლება ლაპარაკი და რომ ეს მომავლის საქმეა. როგორც აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა ნაშრომში „ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა“ საზგასმით აღნიშნავდა, ყინული დაიძრა. ხომ არ ფერხდება ეს ყინული რომელიმე სახიფათო მოსახვევში? გამართლდა თუ არა თქვენი პროგნოზები, დღეს რა მიღწევები გაქვთ ამ კუთხით?

- დიას, მე დიდი გატაცებით დავიწყე მუშაობა ბასკური და კავკასიური ენების საგარეულო ნათესაობის პრობლემაზე ამ 30-იან წლების წინ. მაგრამ ვიდრე არ გავერკვეოდი აქ, საქართველოში, ქართველურ ენათა სტრუქტურაში, რომად არ ჩავწვდებოდი ქართველი კავკასიოლოგების შრომებს, ვერ გავცემდი ამ კითხვაზე საფუძვლიან, მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხს. მიუხედავად ამისა, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენშიც და საზღვარგარეთაც გამოაქვეყნებ რამდენიმე ათეული ნაშრომი ბასკურ-კავკასიურ ენათა საგარეულო ნათესაობის ირგვლივ, მაინც ჩემი პირველი სერიოზული ნაშრომი მხოლოდ წელს გამოვიდა თბილისში. ამ წიგნზე რეცენზიები გამოაქვეყნეს ესპანეთში ბასკეთის აკადემიის ნამდვილმა წევრებმა პ. ირი-სარმა და აწვანსვენებულმა ცნობილმა მეცნიერმა ანტონიო ტოვარმა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცეს ჩემს ნაშრომს. რეცენზიის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ევროპელ ბასკოლოგებთან ჰუმანიდურად, ბრაუნთან, ლაფონთან, კინტანასა და სხვა მეცნიერებთან ერთად მეც ერთ-ერთმა პირველმა ჩავუყარე საფუძვლიანი ბასკურ-კავკასიურ კომპარატივის სტრუქტურა.

მიუხედავად ყველაფრისა, რაც კეთდება საქართველოში ამ კუთხით, ხომ არ შენედა ინტერესი ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის მიმართ, ხომ არ დაიღალა მკითხველი გაუთავებელი ბელეტრისტიკის კითხვით, რამეთუ გახეთი „ნედელია“ და ზოგი სხვა ჟურნალ-გაზეთი არცთუ იშვიათად აქვეყნებს სენსაციურ ინფორმაციებს?

- ესეც არ არის დასამალი, რომ მკითხველი დაბნია ამდენმა გა-

უთავებელმა ლეგენდამ. მე და ჩემი მოწვევები გულხელდაკრეფილი არ ვყოფილვართ, მაგრამ არცერთი ჩვენთაგანი არ ჩქარობდა პრესის საშუალებით მეტ-ნაკლებად გაცვა პასუხს იმ კითხვებისათვის.

ასლან გახეთმა „ნედელია“ დაბეჭდა „ბასკოლოგიური სტუდიების“ ერთ-ერთი გულშემოტკიერის, მოსკოვში მცხოვრები ცნობილი მწერალი - ალექსანდრე კიკნაძის წერილი, სადაც იგი წერდა თქვენზე, როგორც პუბლიცისტზე, მთარგმნელსა და პოეტზე. რა საფუძველი აქვს თქვენს ამგვარ მიხედვლ დასასიათებას?

- რომ არაფერი ვთქვათ ჩემს ადრეულ ნარკვევებსა და თარგმანებზე, რომლებიც შევასრულე კუბიშვილის მოღვაწეობის დროს, უნდა გითხრათ, რომ ერთი დღე არ მიცხოვრია ქართული მწერლების გარეშე, მას მერე, რაც საქართველო გახდა ჩემი მეორე სამშობლო(!), თბილისში გამოვაქვეყნე ერთი მოთხრობა, მხატვრულ ნარკვევი ჟურნალ „ლიტერატურაში“ გერუზიაში. ტიუბინგენში გამოვიდა ცნობილი ბასკი მწერლის გაბრიელ არესტის „ამინისული სახლის“ ჩემეული თარგმანი გერმანულ ენაზე, რომელსაც გერმანულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა. სამწუხაროდ, ეს თარგმანი ჩვენში ჯერაც გამოუქვეყნებელი დევს. მე იმედი მაქვს, მოვებნი დროს და ადრეულ წლებში დაწერილ ნარკვევებს ფიროსმანზე, ვაჟა-ფშაველასა და სხვადასხვა თარგმანებს თავს მოვუყრი და ვიდრე ცოცხალი ვარ, მინდა ამ ხანითაც წარვვდე ქართველი მკითხველის წინაშე, მათ უნდა ნახონ დღის სინათლე. და ბოლოს, მინდა, დიდი მადლობა მოვასხულო ქართველ ხალხს იმ სითბოსათვის და ყურადღებისთვის, რაც ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ გამოიჩინეს!

P.S. ბატონი იურის სიტობა და თავისებური, განუმოკლებელი დამოკიდებულება ძალიან აკლია საქართველოს და განსაკუთრებით იმ საზოგადოებას, რომელთანაც მას შეხება უწევდა. იგი დღესაც უყვართ როგორც მის კოლეგებს, ასევე ნაცნობ-მეგობრებს. გამორჩეულ პიროვნებად მიაჩნდათ ტაქსის მძღოლებსაც, რომლებიც მგზავრობის საფასურს არ ახდევინებდნენ, როცა საოცრად საინტერესო „ლექციას“ და დეკლამაციის დიდი ნიჭით წარმოთქმულ ლექსებს მისმინებდნენ ევროპის რამდენიმე ენაზე.

დიდხანს სიცოცხლეს და შექმნილი წარმატებების ვუსურვებთ ბატონ იურის. მომავალში კი თავად გრეტა ჩანტლაქის მიღვაწეობა გაგაცნობთ და იმ მსგავსებას და განსხვავებას, რაც ქართველ-ბასკურ ენებსა და ადათში დღეს.

თამარ კლუკელი

მარხვის დროს ზეიმებს სული პეტრე-პავლობის მარხვა იწყება

მარხვა უდიდესი სათნოება და ადამიანის სრულყოფის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, ღმერთმა თავის სატად შექმნილ პირველსავე ადამიანს დაუწესა მარხვა, როცა ამცნო: „ყოველისაგან ხისა სამოთხისა ჭამით ჭამით, ხოლო ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ, რამეთუ რომელსა დღესა შჭამოთ მისგან სიკუდილითა მოსწყდეთ (დაბადება 2,17) მაგრამ პირველსავე ადამიანმა დაარღვია, არ შეასრულა ღვთის სიტყვა, დაემორჩილა ეშმაკის ცდუნებას და იგემა აკრძალული ხილი. ღვთის სიტყვისადმი ურჩობამ იგი განაშორა ღმერთს, დააკარგინა სამოთხის ნათელი და მიწიერი ცხოვრების სიხნულემ მოიცვა. ადამიანმა დაივიწყა თავისი თავი, ღვთის ჭეშმარიტ სიყვარულს განშორებული ადამიანი ჩაჯარა შიშსა და ტანჯვაში, ზეციურ ნეტარებას მოწყვეტილი, მიწიერმა სიძიმემ დასცა და გადაავარა.

ადამიანი ისე დაეცა ცოდვით, რომ მის გამოსასხნელად განკაცებული უფლის ტარიგად ქცევა გახდა საჭირო, ღვთის უსაზღვრო სიყვარულმა ჯვარცმით გაიღო ეს მიუწოდებელი მსხვერპლი, ადამიანებს აღდგინა და სრულყოფისაკენ მოუწოდა: „მიიღეთ და ჰსჭამეთ, ესე არს სორცი ჩემი... და ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, მარავალთათვის დასხეული მისატყვევებლად ცოდუათა (მათე 26,26). ამ უდიდესი განსაწმენდელის მისაღებად საჭირო იყო ადამიანის განახლება სინანულით და მარხვით, საჭირო იყო დიდი სულიერი ძალა. ძე ღვთისამ მიაწოდა ეს ძალა ადამიანებს. მაცხოვარმა ადამიანი სიყვარულით განწმიდა ცოდვებისაგან: „მიეტყვნენ მაგას ცოდუანი მაგისნი მრავალნი, რამეთუ შეიყუარა ფრადლუკა, 7,47

დიდი მარხვის საიდუმლო, იგი სინანულით აღადგენს დაცემულ ადამიანს, შეაცნობინებს თავს, ანახლებს სიყვარულს. უდიდესი წინასწარმეტყველი იოანე ნათლისმცემელი მოუწოდებდა რა ადამიანებს, სულიერ უდაბნოში განეწმიდათ გულის გზებით ქრისტეს მისა-

ღებად და სასუფეველისთვის მოსამზადებლად, თვითონ საოცარი მმარხველი იყო. იგი მოუწოდებდა ყველას: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა (მათე 3,2).

მაცხოვარმა ახალი მარხვის დაწყება აუწყა ადამიანებს: „მოვლენან დღენი, რაჟამს ამაღლდეს მათგან სიძე იგი. და მაშინ იმარხვიდენ“ (მათე 15). თავად ძე ღვთისამ ორმოცი დღე და ორმოცი ღამე იმარხულა უდაბნოში და როცა შიმშილი იგრძნო, მაშინ მივიდა მასთან ეშმაკი, გამოსაცდელად, „უკეთუ შენ ხარ ძე ღვთისა, შსთქუ, რათა ქუანი ესე პურ იქმნენ. ხოლო იესო მიუგო და პრქუა: „წერილ არს, რომეთუ არა პურითა ხოლო ჰსცხონდე კაცი, არამედ ყოვლითა სიტყუითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა (მათე 3,4). მაცხოვრის მიერ იმთავითვე დამარცხებულ ეშმაკთანაჟნათქვამი ეს სიტყვები ყოველ ქრისტიანს ასწენებს, რომ უპირველესი საკვები ადამიანისა არს ღვთის სიტყვა, პური ცხოვრებისა. პრქუა მათ იესო: „მე ვარ პური ცხოვრებისა. რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდეს, და რომელსა პრწინეს ჩემდა, არა სადა ჰსწუროდეს (იოანე 6,37) თვით მაცხოვარი ბრძანებს, მხოლოდ ღვთისად და მარხვით შეიძლება განვდევნოთ და დავამარცხოთ ეშმაკი. მხოლოდ მარხვის და ღვთის სასწაულთბრივ ძალას შეუძლია ადამიანის ცოდვისაგან დასხნა, მისგან ბოროტის განდევნა.

მარხვა უდიდეს სულიერ საქმეთა წარმართველია. მისი დიდი ძალით მოქმედებდნენ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნიც. ვიდრე უფლის სიტყვებს მოისმენდა, ორმოცი დღე და ღამე იმარხულა მოსე წინასწარმეტყველმა სინან მთაზე. მარხვა სულიერი მდგომარეობაა, მარხვა არის სულის თავყანისცემა ღვთისადმი, მარხვით უნდა დაითრგუნოს სხეულის ცოდვა და არა სხეული. ადამიანმა სულიც უნდა გაიმშვენიეროს და სხეულიც. სულის და სხეულის ერთიანობით არის ადამიანი ღვთის ხატი.

მარხვა მაშინ იქნება ჭეშმარიტი, თუ მას ჩვენ ქრისტიანული ცხოვრებით, ღვთის მიერ მოწოდებული ცნებების დაცვით გამოვხატავთ. მარხვა სულით თავყანისცემა ღვთისადმი, სულით თავყანისცემა კი გულგანწმენდის შეუძლია. მაცხოვარმა მოგვცა მცნება უსაზღვრო სიყვარულისა, რადგან სიყვარულია ყველაზე დიდი თავყანისცემა ღვთისადმი. მხოლოდ ჭეშმარიტად მოყვარულს შესწევს უნარი პატიების, სინანულის, ყოველი სათნოებისა. სიყვარულის გრძობით იცნობა ადამიანი ქრისტიანად. „მცნებასა ახალსა მივცემედი თქვენ, რათა იყუარებოდით ურთიერთას... ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყუარებოდით ურთიერთას“ (იოანე 13, 34-35)

მარხვის დროს ზეიმობს სული. მარხვით

განწმედამ უნდა აღადგინოს პირველყოფილი უბიწოება, უნდა დაბრუნოს ადამიანი ღმერთთან. მარხვის ძალაშეცნობილი ადამიანი სინანულს გრძნობს იმ დღეთა გამო, რომელიც მარხვის და ღვთის გარეშე გაუტარებია. სინანულის შეგრძნება, რასაც მარხვა ანიჭებს ადამიანს, საზეიმოა. გავიხსენოთ სახარებიდან, რა სიხარულით მიიღო ცოდვით დაცემული და შემდეგ სინანულით მოკეცული უძლები შვილი მამამ (ლუკა 15, 32)

მარხვით და ღვთისადმი განწმენდილი ადამიანი უნდა წარდგეს ისეთი უდიდესი მისტერიის წინაშე, როგორც არის ქრისტეს სისხლთან და სორცთან ზიარება. ზიარების დროს მორწმუნე იღებს მაცხოვრის სისხლად და სორცად გარდაქმნილ პურსა და ღვინოს, რითაც უერთდება უფალს. ეს ის სისხლია და სორცია, რომელიც ჩვენთვის ჯვარცმულმა უფალმა შესწირა ჩვენი ცოდვების გამოსასყიდელ სამსხვერპლოზე, რომლის მისაღებად დღემდე მოგვიწოდებს ყოველი ზიარების დროს: „მიიღეთ და ჰსჭამეთ, ესე არს სორცი ჩემი... და ესე არს სისხლი ჩემი (მათე 26,-28)

მარხვით ადამიანის სული მალდდება და იწმიდება. მას ესმის იმ მარტო მოყვანის გასაჭირი და სიხარული, არამედ სულგრძელის, ბუნების. ბოროტი ძალა ყოველთვის ელობება ადამიანის მიერ მარხვის აღსრულებას. თუ ეშმაკმა პირველი ადამიანი აცდუნა, დაარღვევინა ღვთის მცნება და აგემა მისთვის მარხვად დაწესებული აკრძალული ნაყოფი, ახალი აღთქმის ადამიანებს იგი ელობება ქრისტეს სისხლთან და სორცთან საზიარებლად, აბრკოლებს მარხვისთვის.

მაგრამ მაცხოვარი არ ტოვებს თავისი სისხლით გამოსყდულთ, მის მსასობელოთ, უხუნაისი სიყვარულით ისევე უყვარს ბრძან თვალს, ისევე აცოცხლებს სულით შეკდარს, ისევე შეაძლებინებს ადამიანს მარხვას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია რწმენის საფეხურთა ასვლა.

იანე ჩიქობანიძე

გაუგებრობის მსხმერკლი



პაატა ბელთაძე

წილი ახალი ჩამოსული იყო ღონღონში, ჯერ კიდევ ფერთა ხმოვანება დაეტყვევებინა. ზერედე ექება სამუშაოს, არადა საქართველოდან ჩამოყოლილი გროშები ახალი ცხოვრების დაწყების მოლოდინთან ერთად სწრაფად უჩინარდებოდნენ. მეგობრების მიერ დანაპირები სამუშაოების ნუსხაც ნელ-ნელა მცირდებოდა. თითქოს მთელი სამყარო მის წინააღმდეგ ამხდრებულყოფი და ახლა 18 წლის, ოჯახსმოწყვეტილი, პორტივება ბიჭს დამოუკიდებლად არსებობის გამოცდა უნდა ჩაებარებინა. მკაცრი, უფრო მეტად კი დაუნდობელი იყო გამოცდელი და ხანდახან ტელევიზორის წინ უაზროდ გაშტერებულს რას არ გაავლებინებდა გულში. წამოხვედი და გაქელი, ვერავის დაბრალე, რომ უცერად ისკუპე გაურკვევლობის ორმოში, მიწა მიაყარე იქაურობას, თვალზე ცრემლიც არ მოგდგომია, ისე დაუქნიე ხელი მშობლებს და ბებიას, ისე დააიძველე უქონელი ახლობლები შესაძლო დახმარებებით, ნუ წუწუნებ, ადექი ყოველ დილით ზურთისაგან ნათესავი და გაკურცლდე შრომის ბირჟისაკენ და ელოდე ვიღაცის წყალობას, ჯანი გაქვს, უნარიც, მონდობა გაკლავს და გამოფხინალი, თორემ ამ უცხო მიწაზე სელგაწვდილი არავის უყვარს... არა, აუცილებლად უნდა ვიღონო რამე, ყირაზე რომ დავდებ მაინც უნდა ვიპოვო, აიძველებდა ბურანში გახვეულ გონებას წილი და აბოლებდა სივარულს. ავდგები ახლავე, გარეთ მაინც გავივლი, გამომწვევდელი ვარ ამ ოთხ კედელში, ხმის გამცემიც არავინ მყავს გვიან საღამომდე, გულს გადავავლებ, თორემ საცაა ნერვები ამიტანს, ტელეფონს ვეცემი, დედაჩემს დავუ-

რეკავ და ვეტყვი, რომ მამატიოს შეცდომა, არაფერი მისაყვედუროს უკან დაბრუნებაზე... ბოლოს მოიხარა, გაახსენდა, რომ საშინელომ მდგომარეობამ ასეთ სუსხიან გზას გამოუყენა, პირველი გადარწმუნა, წამოდა, მუხლები აატკაცუნა და კარები გაიჯახუნა. მაინც რა მოსდის ამ დაუახლოვებულ, ქოლგან ერთფეროვნებას, რატომ გადამალეს ღრუბლებმა მზე? - არ ასვენებდა კვირბი ფიქრი. კიბეებზე ჩამოირბინა, ფეხებზე გადათელა ახალი წერილები და ქუჩაში გააჭრა. გველისნაკბენით მოხვდა გულს სიყვარულის ხასიათზე მოსული ცისფერების, ათასი ჯურის პანკისა თუ ხიზის ცხვირბრუნებელი მისარების ხილვა. რას ჰგვანან ეს უპატრონოები? - ერთი თქვენი თავი მომცა ქუთაისში, რას დაგასისხლიანებდითო - ჯიუტად კუმავდა ტუჩებს და ახლად-თვალახელით ბავშვით აშტერდებოდა ხალხს. უცერად მაღალქუსლი ან ფეხსაცმელებზე მოქანავე ახალგაზრდა ქალი შენიშნა, ის იყო, გვერდი უნდა აველო, შავთმიანმა თითი დაუქნია და გვერდზე გაიხმო. „ბიზნესს ექებ გეტყობა, აქვე ახლოს ვცხოვრობ, წამოდი, დიდ სიამოვნებას მიიღებ“, - გამოსცრა მაცდურად ქალმა და სახეს ნაძალადევი ღიმილი გადააჭარბა. უკაცრავად? ვერ გავიგე, ამოიხონრა წიწილი, დაბნეულმა სივარული დააძრო და ცხვირ-პირში შეაბოლა უცნობს. რით ვერ გაიგე, საქმეს ექებ მეთქი? - თვალმშენი მაშტერდა მორიგი საბილოს დაჭერით გალაღებული ქალბატონი. ვერაფერი გავიგე, ისე სამუშაოსა და საქმეს თუ მთავაზობს, ამას რა სჯობია, თავისთვის გაიფიქრა ფანტაზიებში დაკარგულმა, გამოუცდელმა ბავშვმა, ქალს პაპიროსი გაუწოდა და სინანულით ამოიღულღულა: იცით, დიდი სიამოვნებით, მაგრამ მე სამუშაო ვიზა არა მაქვს, თუკი სტუდენტური საკმარისია, ავირბენ სახლში, ჩამოვიტან და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. თანაც ხელის მოძრაობით ანიშნა, ადგოლე და ჩინილიყო და მეორე ქუჩისაკენ გაიქცა. ნეტა რა სამუშაოს მთავაზობს? - ფიქრობდა და გონებაში ანგარიშობდა სამსახურის შესაძლო ვარიანტებს. გასაღები ძლივს მოარეკა კარებს და ელდანაკრავით შედგა, როცა კიბეების ბოლოში სველებით მომავალი ზურია დალანდა. რა იყო, წიწილი რას გავხარ, მოხდა რამე, კაცის ფერი რომ არ გადევს? - მიახალა ირონიულად. მე მგონი, სამუშაო ვიპოვე, ეგერ ერთი ქალი დგას მეტროსთან და პირდაპირ შემჭამა, გინდა თუ არა დაგასაქმებო... მერე მაგავ უკეთეს რას ინატრებ, აუფარებ წრაფად, პასპორტი დაითრიე და დამაჯერებლად ელაპარაკე ხელ-ფეხით, აბა, შენც ჩემსავით ძალღივით

ხარ, გესმის, რასაც გეუბნებიან და ვერ პასუხობ - გადაიხარხარა ზურია. მოგვცა შენ, სულ დადაბო, გვერდზე, ღიმილზე მისი გემსახურება და კაბინეტის წინ რიგი ვიდგას ლამაზმანების, რა გაქვს სხვისი საქირდაო, შეუბედურო, დაუბღვირა წიწილი და გვერდი მუჯღუგუნის კვრით აუქცია. ალბათ სახლში აქვს რამე გასაკეთებელი - იქნება ოცი ფუნტი მაინც გამოვტყუო - არ ტოვებდა აზრი. ეშველოს რამე იქნებ, თორემ ამდენი ფულის მიცემით მეც ადარ შემიძლია - შესწივლა სამსახურიდან მობრუნებულ ბესიას ზურია და ორივე ერთად წიწილი დაელოდა. აფორიაქებულმა წიწილით ბესიასაც მიახარა უცნაური ქალის გამოჩენის ამბავი და მეტროსკენ გაკურცლა. გადასასვლელზე მანქანამ ლამის გაიტანა. გაცეცხლებულმა მძილმა შეუკურხა, ვალში არც წიწილი დარჩენია და თავისი ცალიდავი ინგლისურით, ნახევრად ქუთაისურად სამსართულიანი გინება გაუგზავნა ფორდის დაზაფრულ პატრონს. ცოტა ხანი არავის დასძვრებდა იმდენად ადგილას. ხომ არ დამავიანდა, პრინციპში 10 წუთიც არ გასულა, ისე იმ დოკლამამ მომაცდინა რა... ელოდე, ელოდე, რა საქმე გაქვს მეთქი? ჯოკერის თამაში ყოველთვის მთავრდება - ჩასაძახოდა შინაგანი ხმა. (ბოლოს, როგორც იქნა, საცეროვით დაწვრილებული თვალბით იქაურობას მუშტრის მზერა მოავლო და ბანკომატთან ნაცნობი ქალბატონი შენიშნა. იგი ცალი ფეხით კედელს მიყრდნობოდა და ვიღაც გამველს უხვად ჩუქნიდა ჩაშავებული ტუჩებიდან გამოპარულ მსუნავ ღიმილს. ვაიმე, შესძახა სამუშაოს შესაძლო დაკარგვით გაწვილებულმა წიწილი და მისკენ გაეკანა. პასპორტს კიდევ ერთხელ ჩახედა და დავალებიდან დაბრუნებული შეგირდივით როსკიპს მიახალა: მოვიტანე, ხელში მიჭირავს - მერე თითით ანიშნა, აქეთ გამოდიო, რასაც უსიტყუოდ დაემორჩილა კეკელუცი მულატი და ნარნარი მიჰყვა წიწილოს. აბა, მანვე, რამდენი გაქვს? სად არის ფული, ფულს ვერ ვხედავ, ეს შენი პასპორტი რა თავში ვიხალო, ჯოჯონეთია რა... გამოსცრა კბილებმეხსენა ქალმა და წიწილის წითელმანიკურიანი თითი თვალთან აუტრიალა. რა ფული? - გააკანკალა წიწილოს, ხო, ფულს ბევრს არ გადავხვდებივ, იაფად მოგემსახურებო, ახლავე წამოგვყვები, ოღონდ რამდენ საათს გჭირდება და რას გადამიხდი? არ ეშვებოდა ქალს და საილუსტრაციოდ ხუთთითს აჩვენებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საათში ხუთ ფუნტზე ნაკლებად არ გაჰყვებოდა. გამოწვევად ჩაცემულმა ქალმა ლამის ყვირილით დაუღრიალა; ფული შენ უნდა

გადამიხადო, შენ რა, დაუსტვინე? აქ დროს მაკარგვინებ, აქამდე სამ კლიენტს ვიპოვიდი, თუ ჩემს ნერვებზე თამაშობ? - ვერ გავიგე, შენ ხომ საქმეს შემპირდი? შეუტია წიწილი, მე პასპორტი მოვიტანე - ბოლოს და ბოლოს მომცემთ რაიმეს თუ წავიდე, თანაც სახე მოელუშა და მისვდა, რომ იქაურობას უნდა გასცლოდა, თორემ შორიასლოს მდგომ პოლიციელს შესაძლოა, რაღაცის ეჭვი გასჩენოდა და სამუშაოს ძიება შარის პოვნის დასრულებულიყო. მოიცა, სად გარბინარ? - ხელით მოქაჩა ალვირახსნილმა როსკიპმა და როგორც იქნა, წიწილისთვის ნაცნობი სიტყვა სექსი გამოცხრა დასიციული ბავშვიდან. თანაც მიხვდა, რაშიც იყო საქმე და გადაიხარხარა. საქმის ძიება ჩვენს ენაზე მეძავისათვის ფულით მიცემას ნიშნავს, შენ კი სამუშაოს მფლობელს უნდა შეგე - თავისთვის ჩაილაპარაკა მულატი და გაყინული მზერა შეაგება წიწილოს გაოგნებულ თვალზე. მისვდა, რა გაუგებრობის მსხვერცილი შეიქნა ოცნება დამსხვრეული, სამუშაოს მძივებელი და ბოდიში მოიხადა. სადაური ხარ მაინც? არ მოეშვა შავთმიანი, მაინც რამდენი ფუნტი გაქვს ჯიბეში? - თურქი ვარ და არა მაქვს ფული - მიუგო გაწვილებული მთავრლომ და შემობრუნდა... ჭკუის სასწავლებელია - ისტიბარს არ იტყვხდა ხელმოცარული... მერე ერთი მოიხარა, მოპირდაპირე მხარეს პუბის წინ შექნიშნათან მერე ღამის დელო ფალი შენიშნა და თავის ნაცნობს ჰკითხა: ისიც ასაქმებს მოცილივს? პასუხს არც დალოდებია, ხელი დირიჟორით აიქნია, ქურჩა გადაჭრა და ზუსტად ისეთივე გაუგებრობაში მოყოლილ ზურიას, რომელიც უკვე გაწამებული სახით უმტკიცებდა წითელთმიან მძივას თავისი პასპორტის მინიჭებულ, ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლებას მხარი გაჰკრა და გადაულაპარაკა, წამოდი, ბიჭო, სახლში! - ეგერი შალავები არიან. საქმის ძიება ამათ ჟარგონზე - მუშტრის ძიებას ნიშნავს. ხმის ამოუღებლად ადგილიდან მოსწვდა ზურია, ერთი საცოდავი მზერა მანინც მოავლო სახტად დარჩენილ როსკიპს და წიწილოს დატუქსული ბავშვივით უკან გაჰყვა. სახლში რა ვთქვამთ? სიცილით დავეყვირებ და რა ამოვა მერე მაგათი ყმბიდან, არ ცხრებოდა წიწილი.